ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მედიცინის ფაკულტეტი

სტუდენტთა გამოკითხვის ანალიზი

2018 წელი

სტუდენტების გამოკითხვის ძირითად მიზანს წარმოადგენდა უნივერსიტეტში მიღებული განათლების ხარისხის შესახებ კმაყოფილების განსაზღვრა და სხვადასხვა სერვისების შეფასება. კვლევის მეთოდს წარმოადგენდა ონლაინ გამოკითხვა. კვლევის ინსტრუმენტი იყო რაოდნობრივი კვლევის კითხვარი.

ინფორმირებულობა და ინფორმაციის მიღების წყაროები

სტუდენტებს უნდა დაესახელებინათ ძირითადად რა საშუალებებით იღებენ ინფორმაციას:

- უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის შესახებ;
- არსებული სტიპენდიებისა და გაცვლითი პროგრამების შესახებ;
- სწავლის საფასურის გადახდასთან დაკავშირებული სხვადასხვა შეღავათების შესახებ.

სტუდენტებისთვის საჭირო ინფორმაციის მოპოვების ძირითად წყაროებს შორის შედარებით მეტად ინტერნეტი (განსაკუთრებით თსუ-ს ვებ-გვერდი და სოციალური ქსელი) და თანატოლები/სტუდენტები ფიგურირებენ, ვიდრე თსუ-ს სტრუქტურული ერთეულები და/ან აკადემიური პერსონალი.

კვლევის მონაცემების მიხედვით, თსუ-ს დოკუმენტებიდან/პროცედურებიდან სტუდენტები ყველაზე კარგად იცნობენ იმ საკითხებს, რომლებთანაც ყველაზე ინტენსიურად უწევთ შეხება:
გამოცდების ჩატარების წესი (მეტ-ნაკლებად ვიცნობ - 24.2; კარგად ვიცნობ - 66.3%) და

კრედიტების აღარების წესი (მეტ-ნაკლებად ვიცნობ - 31.5; კარგად ვიცნობ - 44%).

სასწავლო გარემოს შეფასება

სტუდენტებს უნდა შეეფასებინათ სასწავლო გარემოს შეფასებას სხვადასხვა კომპონენტების მიხედვით, დათანხმება-არდათანხმების სკალაზე. კვლევამ ყველაზე პრობლემური შემდეგი ტენდენციები გამოავლინა

- პრაქტიკული მეცადინეობების გაზრდის საჭიროება;
- თანამედროვე ტექნოლოგიების ნაკლებად გამოყენება;
- ლაბორატორიების არასაკმარისი რაოდენობა;

მიღებული განთლების დონით კმაყოფილება

როგორც კვლევის მონაცემები აჩვენებს, სტუდენტების მიერ უნივერსიტეტში მიღებული განათლების დონით კმაყოფილება საშუალოზე ოდნავ მაღალია (საშუალო მაჩვენებელი - Mean=3.6 (5-ქულიან სკალაზე).

სტუდენტები პრობლემას ხედავენ სწავლების მეთოდებთან დაკავშირებითაც - ისინი მიუთითებენ, რომ საგნების/დისციპლინების შინაარსი ნაწილობრივ შეესაბამება თანამედროვე ტენდენციებს; ასევე ნაკლებად გამოიყენება სწავლების აქტიური/თანამედროვე ფორმები -(დისკუსია, ტრენინგი, საქმიანი თამაშები და ა.შ.); ვიდეოლექციებს და პრეზენტაციებს, კვლევის მიხედვით, იყენებს ლექტორების ნახევარი. უნდა აღინიშნოს, რომ ლექტორებთან კომუნიკაციისათვის სტუდენტები ხშირად იყენებენ სოციალურ ქსელს და ელექტრონულ ფოსტას. ანალოგიური ტენდენციები დაფიქსირდა სხვადასხვა ჭრილების მიხედვით ანალიზისას.

ბიბლიოთეკით კმაყოფილება

ბიბლიოთეკის სხვადასხვა რესურსებით და მომსახურებით კმაყოფილების დონეც საშუალოზე ოდნავ მეტია. ნეგატიურად შეფასდა - დაბალი შეფასების ველში მოექცა, მხოლოდ წიგნების გატანის შესაძლებლობა (Mean=2.8), ხოლო შედარებით მაღალი

მაჩვენებელი აქვს ბიბლიოთეკაში არსებული სამეცნიერო ლიტერატურას (წიგნებს)(Mean=3.7).

კარიერული მხარდაჭერა

კვლევა აჩვენებს, რომ თსუ-ს კარიერული მხარდაჭერის ცენტრის ჩართულობა სასწავლპროცესში ძალზე მინიმალურია, რომლის ძირითად მიზეზს სტუდენტთა ინფორმირებიდაბალი დონე წარმოადგენს: სტუდენტების აბსოლუტურ უმრავლესობას ან საერთოდ არსმენია კარიერული მხარდაჭერის ცენტრის არსებობის შესახებ თსუ-ში "არ მაქვ ინფორმაცია" - 71.1%.

სხვადასხვა სერვისებზე ხელმისაწვდომობა

რაც შეეხება უნივერსიტეტის სხვადასხვა სერვისების ხელმისაწვდომობას სტუდენტებისათვის, გამოიკვეთა შემდეგი: ყველაზე მეტად ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის წიგნებით და ელექტრონული რესურსებით სარგებლობა და საინფორმაციო ტექნოლოგიები (საშუალო მაჩვენებელი (Mean)=3.3; 4-ქულიან სკალაზე).
ყველაზე ნაკლებად ხელმისაწვდომია (დაბალი შეფასების ველში მოექცა) საერთაშორისო, ასევე სხვადასხვა კვლევით პროექტებში მონაწილეობა და უნივერსიტეტის მიერ გამოყოფილი დაფინანსება/თანადაფინანსება სხვადასხვა პროექტებში/პროგრამებში მონაწილეობისათვის (საშუალო მაჩვენებელი (Mean)=2.3 - 4-ქულიან სკალაზე). გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის საშუალო მაჩვენებელი ყველაზე დაბალია.

სასწავლო კურსებისა და პროფესორ მასწავლებლების შეფასება

კვლევის ფარგლებში სტუდენტებს მიეწოდათ ჩამონათვალი, რომლის მიხედვითაც სხვადასხვა პარამეტრებით უნდა შეეფასებინათ სასწავლო კურსები და პროფესორ-მასწავლებლები. ყველა პარამეტრის მიხედვით სტუდენტების შეფასებები პოზიტიურია - დაფიქსირდა მაღალი მაჩვენებლები (Mean > 4; 5-ქულიან სკალაზე).

მიღებული განთლების დონით კმაყოფილება

აღნიშნული პრობლემების მიუხედავად, ზოგადად უნივერსიტეტის / მისი გარემოს მიმართ განწყობა უფრო დადებითია - გამოკითხულთა უმრავლესობა, კვლავ რომ აბიტურიენტი იყოს, ისევ თსუ-ში ჩააბარებდა (63.5%). დაახლებით ამდენივე სტუდენტი ურჩევდა სხვა სტუდენტებს თსუ-ში ჩაბარებას.